ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4286242

ნომერი: AR1645939

თარიღი : 25.11.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 124;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3093437 (4223206 25/10/2018)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 15.02.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია ხავთასი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ბილდერი"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404552382
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი თუშიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01020005927

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2500.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 947.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 13020.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9609.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1499.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1220.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 691.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 51736.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 50600.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1136.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 54.65
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 53.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 947.4 კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 12668.2 კ2=5.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 605.6 კ3=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3797117
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 29.01.2018

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4041521
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.06.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 25 ნოემბერს NAR1645939 განცხადებით მომართა ილია ხავთასმა და მოითხოვა ქ. თბილისში, მეფე მირიანის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი N01.72.14.042.141) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საპროექტო მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა,რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული გარემო განვითარებულია საკარმიდამო განაშენიანებით, არსებულ ჩამოყალიბებულ გარემოში სივრცით მოცულობითად განსხვავებული ობიექტის გაჩენა იწვევს არსებული გარემოს რადიკალურ ცვლილებას და ირღვევა ტერიტორიის ჩამოყალიბებული ბალანსი. საპროექტო კვარტალი, რომელიც შემოფარგლულია მირიან მეფის, ფრედერიკ მონპერეს, კრისტოფერო კასტელის და ოსკარ შმერლინგის ქუჩებით წარმოადგენს ჩამოყალიბებულ დაბალ განაშენიებას. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიისათვის მიზანშეწონილია ტერიტორიის დაბალი ინტენსივობით განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას

დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისში, მეფე მირიანის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი N01.72.14.042.141) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.